განმარტებითი ბარათი

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ
ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზია საქართველოში შექმნილი ხელსაყრელი გარემო აზიისა და აფრიკის მოქალაქეებისათვის, რომლებსაც სურთ ბინადრობის მიღება და საქართველოს ტერიტორიაზე ემიგრაცია. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველო მიმზიდველ ქვეყანად იქცა აზიელი და აფრიკელი მიგრანტებისთვის. არსებული კანონმდებლობით 35 000 დოლარის სანაცვლოდ უცხოელი მიგრანტები მარტივად იღებენ ბინადრობის უფლებას. საქართველოს უმძიმესი დემოგრაფიული მდგომარეობისა და მიგრაციის მასშტაბების გათვალისწინებით, ბინადრობის გაცემის არსებული მიდგომა აუცილებლად შეცვლის ეთნოკულტურულ ბალანს აბორიგენი მოსახლეობის საზიანოდ. გარდა ამისა, ეს ყოველივე სახიფათოა ქვეყნის უსაფრთხოების კუთხით. ინვესტიციის შემთხვევაში ასევე გაუმართლებელია მუდმივი ბინადრობის გაცემა, 300 000 ლარი კი არის მცირე თანხა და აუცილებლად უნდა გაიზარდოს არანაკლებ 500 000 დოლარის ეკვივალენტამდე ლარში. გარდა ამისა, განხორციელებული ინვესტიის შემთხვევაში უნდა მოხდეს არანაკლებ 50 საქართველოს მოქალაქის დასაქმება.

ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი

კანონპროექტის მიღების მიზანია უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის ბინადრობის უფლების მინიჭების გამკაცრება, 35 000 დოლარის სანაცვლოდ ბინადრობის უფლების მინიჭების აკრძალვა. რაც დიდი საფრთხის შემცველია ეთნოკულტურული ბალანსისა და უსაფრთხოების კუთხით.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის მიხედვით იცვლება ბინადრობის ნებართვის სახეები:

1. უქმდება 35 000 დოლარის გამო ნებართვის გაცემა.
2. უქმდება მუდმივი ნებართვის გაცემა ინვესტიციის შემთხვევაში.
3. ინვესტიციის მოცულობა იზრდება 300 000 ლარიდან 500 000 დოლარის ეკვივალენტამდე ლარში.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება
ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღებას არ ექნება გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღებას არ ექნება გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტით არ დგინდება მოსალოდნელი ფინანსური შედეგი იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

კანონპროექტით არ დგინდება არანაირი საფასური იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან
გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტს არ ექნება გავლენა საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთის მხრივ საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან

ევროკავშირის ასეთი სამართლებრივი აქტი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის პროცესში მიღებული კონსულტაციები

ასეთი არ არსებობს.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

ზვიად ტომარაძე (საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება 21)

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

30 000–ზე მეტი ამომრჩეველი